ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N111

ქ.თეთრიწყარო 26 ნოემბერი 2018 წ.

ერთი მხრივ, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის გიორგი ქორიძის სახით და მეორე მხრივ შპს „სიგმა" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის კარლო ონიანის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, ქვემოაღნიშნულ მისამართებზე და კოორდინატებზე, უძრავი ქონების საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების შედგენის შესყიდვა /22114310-CPV/:

- ქალაქი თეთრიწყარო, თაყაიშვილის ქუჩის მიმდებარედ, შემდეგ კოორდინატებზე: X-456153, Y-4599189, X-456501, Y-4599086, X-456007, Y-4599055, X-456082, Y-4599012, X-456213, Y-4598976, X-456278, Y-4598968, X-456404, Y-4598932. (მიწის ნაკვეთი ფართით 72416 კვ.მ. სასაფლაოს მოსაწყობად).
- ქალაქი თეთრიწყარო, დიდგორის ქუჩის მიმდებარედ, შემდეგ კოორდინატებზე: X-455081, Y-4599148, X-455094, Y-4599154, X-455083, Y-4599143. (მიწის ნაკვეთი ფართით 33 კვ.მ. დამატებითი ფართი საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობისთვის).
- სოფელი ჯორჯიაშვილი, სარიტუალო სახლის მიმდებარედ, შემდეგ კოორდინატებზე: X-469151, Y-4603353, X-469211, Y-4603370, X-469247, Y-4603364, X-46469150, Y-4603326. (მიწის ნაკვეთი ფართით 2222 კვ.მ. დამატებითი ფართი სარიტუალო სახლის დამხმარე ნაგებობის მშენებლობისთვის).
- ს/კ N84.01.35.228-ით მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების გამიჯვნისა და ორ დამოუკიდებელ მიწის ნაკვეთად რეგისტრაციის მიზნით შემდეგ კოორდინატებზე: X-455094, Y-4599113, X-455131, Y-4599126, X-455115, Y-4599166. (საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობისთვის)
- ს/კ N84.20.39.018-ით სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების გამიჯვნისა და მისი ნაწილის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრაციის მიზნით (საფეხბურთო მოედნის მოსაწყობად).
- ს/კ N84.14.36.029-ით საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების გამიჯვნისა და მისი ნაწილის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრაციის მიზნით (წყლის რეზერვუარის მოსაწყობად).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 560.00 (ხუთასსამოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს, დღგ-ს გარეშე.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მომწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.3 დაფინანსების წყარო - 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

„მიმწოდებელი" ვალდებულია:

3.1 ხელშეკრულების გაფორმებიდან, 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს, ხელშეკრულების პირველი მუხლით („ხელშეკრულების საგანი") გათვალისწინებული საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების შედგენა. თითოეულ უძრავ ქონებაზე, ნახაზის რაოდენობა - 5 (ხუთი) ეგზემპლარი.

3.2 იმ შემთხვევაში თუ მომსახურების დასრულების ვადა ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ მომსახურების დასრულების ვადა იქნება მომდევნო სამუშაო დღე.

3.3 მომსახურება გაწიოს სათანადო ხარისხით და თავისი ხარჯებით აღმოფხვრას მის მიერ შედგენილ დოკუმენტაციაში გამოვლენილი უზუსტობები შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადებში.

„შემსყიდველი" ვალდებულია:

3.4 უზრუნველყოს მიმწოდებელი აღნიშნული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაციით.
3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დროულად და ხარისხიანად გაწევის შემდეგ, მიმწოდებელს საბანკო ანგარიშზე ჩაურიცხოს გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული პირობებითა და ვადებში.

4. ანგარიშსწორება

4.1 უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორცელდება მომსახურების გაწევის დასრულების შემდეგ მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენისა და შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
4.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში.

5. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

5.1 ხელშკრულების 3.1 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი იხდის ჯარიმას, სახელშეკრულებო ღირებულების 0.02% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
5.2 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან.
5.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან და მოსთხოვოს მას დაკისრებული ჯარიმის ანაზღაურება.
5.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების არაუმეტეს 10%-ის ოდენობით, რომლის დროსაც შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ჯარიმის გადახდა.
5.5 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20 %-ის ოდენობით.
5.6 ხელშეკრულების 4.1 პუნქტის დარღვევის და მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველი იხდის ჯარიმას, გადაუხდელი თანხის 0,02%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების დასრულების შემდეგ, ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

7. ფორს-მაჟორი

7.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.
7.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარებისათვის გადაულახავ ან მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
7.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს

წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

7.4 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

8. ხელშკრულებაში ცვლილების შეტანა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართი სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და დაერთვება ხელშეკრულებას.

8.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.5. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობისას, ინიციატორი მხარე ვალდებულია არანაკლებ 3 (სამი) დღით ადრე მიმართოს მეორე მხარეს აღნიშნული ცვლილების აუცილებლობის დასაბუთებული წერილობითი თხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ცვლილების განხორციელებაზე.

8.6. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

8.7. მხარე ვალდებულია არანაკლებ 2 (ორი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 8.6. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

8.8. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს:

- მხარეთა შეთანხმებით;
- ფორს-მაჟორული სიტუაციით;
- ხელშკრულების ცალმხრივი დარღვევა შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახური.
10.2 კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული სამუშაოს ხარისხის პროცესის კონტროლს.
10.3 შესრულებულ მომსახურებაში გამოვლენილ ნაკლოვანებებს, ინსპექტირების გამწევი პირი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

11. დავის გადაწყვეტა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით.
11.2 თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაშია 2018 წლის 26 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
ქ.თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ.N 34
ს/კოდი: 230869254
სახელმწიფო ხაზინა
ა/ა GE24NB0330100200165022
ბ/კოდი: TRESGE22

„მიმწოდებელი"

შპს „სიგმა"
ქ.ბოლნისი, სააკაძის ქ. N 156
ს/კოდი: 225379809
ს/ს"თიბისი ბანკი"
ა/ა GE48TB0669336020100001
ბ/კოდი: TBCBGE22

14. მხარეთა ხელმოწერები

გიორგი ქორიძე
მუნიციპალიტეტის მერი

კარლო ონიანი
შპს „სიგმა"-ს დირექტორი